ვებ-გვერდზე www.pashabank.ge განთავსებულ „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე, შეიცვალოს ვებ-გვერდზე - www.pashabank.ge - განთავსებული „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალური ხელშეკრულება“, კერძოდ, ხელშეკრულებას დაემატოს 15.4.2[1] შემდეგი შინაარსით:

15.4.2[1] იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ბანკის მიმართ უფიქსირდება წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკრედიტო ან/და არა-საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება, ბანკი უფლებამოსილია და კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ არსებული ვალდებულებებისა და დავალიანების შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს კლიენტთან დაკავშირებულ პირებს, კერძოდ, კლიენტის მიერ სხვადასხვა პროდუქტის მიღების მიზნით წარდგენილ განაცხად(ებ)ში მითითებულ ნებისმიერ პირს (საკონტაქტო პირი, ოჯახის წევრი და სხვა). დამატებით, კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკი უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული პირებისაგან ან/და ნებისმიერი მესამე პირისაგან, რომელიც აწარმოებს კლიენტისათვის თანხების ჩარიცხვას/გადახდას, მიიღოს და დაამუშაოს კლიენტის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია და დამატებითი საკონტაქტო ინფორმაცია.

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ცვლილებები ძალაშია 2021 წლის 16 ივნისიდან.